ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 77

18 თებერვალი 2020 წ. ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

სხდომა ჩატარდა სარევიზიო კომისიასთან ერთად

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, გოჩა თევდორაძე.
სხდომას ასევე ესწრებოდა:
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე; ლევან მიქავა

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო- თამარ მელიქიშვილი

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური-ვასილ აბულაძე, დავით ჯაიანი

ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახური-ირინა ჭეიშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-გიგა გიგაშვილი

თბილისის განვითარების ფონდი- ნინო მჭედლიშვილი

შპს „სატრანსპორტო კომპანია"- მაია ხაჩირაშვილი

ჯანდაცვის საქალაქო სამსახური- ქეთევან ველთაური

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური- გიორგი ებანოიძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1."ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის საკრებულოსდადგენილებისთაობაზე. (#12-03200378-03)

2.საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები (#11-0120044819; 11-01200431559; 11-01200363234; 11-01200453701) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№15-0320036114-03; 15 -03200484;15-032004444;16-032004365-03)

3.საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელებასთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე (12-0320037141-03)

4.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს" (ს/კ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" N0-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/კ 439402843) გათავისუფლების თაობაზე.(#12-0320037139-03)

5.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 6 ივნისის პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-313-22-19802 ხელშეკრულებით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან როინი მკალავიშვილის (პ/ნ 01001028428) გათავისუფლების თაობაზე.(12-03200377-03)

6.ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 91,642 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.13.004.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (#12-032003848-03)

7."ქალაქ თბილისში, მახათას შესახვევი N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.01.030.007.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(#12-0320023164-03)

8."ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.044.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" (#12-0320023164)

9.„ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, II მიკრო/რაიონის კორპუსში N9 (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.005.01.514) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "(#12-03204249-03)

10.„ქალაქ თბილისში, ანტონ ფურცელაძის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.04.019.004.01.591) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "(#12-0320041168-03)

11.შპს „ბოჟიტორისთვის" (ს/ნ 405000369) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე.(#12-0320043239-03)

12.შუქრი კაკაურიძისათვის (პ/ნ 01019009108) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე(#13-032004413-03)

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრების მიერ დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

მან აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2019 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და 2020 წლის 1 იანვრისათვის თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების გამოყენების გათვალისწინებით.

შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 217 580,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 238 980,6 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის, სტრუქტურული ერთეულის და რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. ნაშთის გამოყენების გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 9 682,1 ათასი ლარით,გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ასიგნება - 151,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) ქვეპროგრამის ასიგნება – 28 000,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 99 738,5 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება – 12 218,0 ათასი ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) ქვეპროგრამის ასიგნებები – 750,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) – 1 227,9 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 440,6 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნება - 147,4 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 4 700,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 5 800,0 ათასი ლარი, თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) – 600,0 ათასი ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 700,0 ათასი ლარი, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) – 24 644,5 ათასი ლარი, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 4 740,0 ათასი ლარი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების განვითარების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 426,0 ათასი ლარი, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) – 150,0 ათასი ლარი, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი (კოდი 08 01 01) – 69,3 ათასი ლარი, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) –40,7 ათასი ლარი, თეატრი "გლობუსი" (კოდი 08 01 05) – 30,8 ათასი ლარი, სამეფო უბნის თეატრი (კოდი 08 01 08) – 97,9 ათასი ლარი, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) – 91,3 ათასი ლარი, საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“ (კოდი 08 04 01) – 50,6 ათასი ლარი, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) – 6,6 ათასი ლარი, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 1 850,0 ათასი ლარი, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 356,0 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 2 596,1 ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 2 278,0 ათასი ლარი, თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 13) – 22,0 ათასი ლარი, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) – 500,0 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 21) – 180,0 ათასი ლარი, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური (კოდი 10 44) – 146,9 ათასი ლარი.

გარდა ამისა, დაემატა შემდეგი ახალი პროგრამა/ქვეპროგრამა: სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 12 605,5 ათასი ლარი, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05) – 2 676,5 ათასი ლარი, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ტრანსპორტის განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 2 337,2 ათასი ლარი, მომუშავეთა რიცხოვნობა 81 ერთეული და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახური (კოდი 10 19) – 1 682,1 ათასი ლარი, მომუშავეთა რიცხოვნობა 56 ერთეული.

ასევე, დაზუსტდა მომუშავეთა რიცხოვნობები. მათ შორის: იზრდება ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მომუშავეთა რიცხოვნობა 7 ერთეულით, ა(ა)იპ სამეფო უბნის თეატრის მომუშავეთა რიცხოვნობა – 15 ერთეულით, ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა – 2 ერთეულით, ა(ა)იპ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონის მომუშავეთა რიცხოვნობა 1 ერთეულით, ხოლო ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 4 ერთეულით, ა(ა)იპ ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის მომუშავეთა რიცხოვნობა - 1 ერთეულით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მომუშავეთა რიცხოვნობა – 42 ერთეულით, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მომუშავეთა რიცხოვნობა – 40 ერთეულით.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილებების წარმოდგენილ პროექტში ტექნიკური მიზეზების გამო პროგრამულად გამორჩა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის საშტატო რიცხოვნობის გაზრდა 10 ერთეულით და სთხოვა კომისიას მხედველობაში მიეღოთ და გაეთვალისწინებინათ აღნიშნულის შესახებ. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა ჯამურად გაიზარდა 85 ერთეულით.

დაზუსტდა ქვეპროგრამის - საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) დასახელება და აღწერა.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნება - 151,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფის (კოდი 09 01) პროგრამის ასიგნება - 1 700,0 ათასი ლარით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის (კოდი 10 08) პროგრამის ასიგნებები – 988,5 ათასი ლარით და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის (კოდი 10 45) პროგრამის ასიგნებები - 1 314,0 ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის ცვლილებების განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრების ოთარ გრიგოლიას, დავით უთმელიძის, რამინა ბერაძის შეკითხვებზე კონკრეტული პასუხები გასცეს საქალაქო სამსახურების და თბილისის განვითარების ფონდის წარმომადგენლებმა მათთვის მიკუთნებულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში ცვლილებებთან დაკავშირებით.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები (#11-0120044819; 11-01200431559; 11-01200363234; 11-01200453701) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

კვარტალურ ცვლილებებთან დაკავშირებით ისაუბრა გაიოზ თალაკვაძემ.

შესათანხმებლად წარმოდგენილია გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი მოთხოვნა, სადაც გამგეობა პროგრამაში „გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში“ პირველ კვარტალში ითხოვს საერთო ჯამში 1 000 000 ლარის დამატებას მეოთხე კვარტლიდან. აღნიშნავენ, რომ კონტრაქტორი ფირმები სწრაფად ამთავრებენ სამუშაოებს, აღნიშნულის დაბალანსება ხდება „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების“ პროგრამაში ამ ეტაპზე არსებული თავისუფალი რესურსით. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ინფორმაციით ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასებისათვის საჭიროა მობილური

ოპერატორებისაგან მიღებული დამუშავებული ინფორმაციები, რის გამოც ვერ ხერხედება თანხების ათისება.

გარდა ამისა გლდანის რაიონის გამგეობის შენობაში შეიქმნა ახალი სივრცე და საჭიროა გათობა-გაგრილების სისტემის მოწყობა, რისთვისაც „არაფინანსურ აქტივების“ მუხლში ემატებათ 2198 ლარი, რომლის გადმოტანაც ხდება „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან.

პირველ კვარტალში 2000 ლარის მუხლობრივი ცვლილება ხდება პროგრამაში „პარასპორტის განვითარება“. აღნიშნული ესაჭიროებათ დისტანციური მართვის მოწყობილობის შესაძენად.

საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოს, საიმიჯო ვიდეორგოლების დამაზადების მომსახურების შესყიდვისათვის, პროგრამაში „საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება“ პირველ კვარტალში დამატებით სჭირდება 245 517 ლარი, რაც ბალანსდება „გამწვანების ღონისძიებების“ პროგრამაში პირველ კვარტალში არსებული რესურსის შემდეგ კვარტლებში გადატანით.

საბურთალოს რაიონის გამგეობას საფეხმავლო კიბეების აღდგენა-შკეთებაზე საპროექტო დოკუმენტაციის შდგენისათვის, პირველ კვარტალში ემატება 21000 ლარი,რასაც აბალანსებენ რაიონის „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხების“ პროგრამაში არსებული რესურსით.

განვითარების ფორნდი აღნიშნავს, რომ ფორმდება ხელშეკრულებები გუდიაშვილის მოედანზე, დედაენისა და 9 მარტის ბაღების რეაბილიტაციაზე , შპს „ენსისი“-თან და ავანსის სახით დამატებით სჭირდებათ თანხები. ამ მიზნით მეორე კვარტლიდან პირველ კვარტალში გადმოაქვთ 4 733 000 ლარი, გარდა ამისა 1500 000 ლარის მუხლობრივი ცვლილება ხდება მათთვის მიკუთვნებულ პროგრამის წლიურ გეგმაში. აღნიშნულის დაბალანსება ხდება „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგებლობის მოდერნიზაციის“ პროგრამაში არსებული რესურსით. პროგრამაში 4 733 000 ლარი პირველი კვარტლიდან გადადის შემდეგ კვარტლებში. გარდა ამისა 60 000 ლარი ემატება პირველ კვარტალში პროგრამას „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა“ და 30 000 ლარი ემატება პირველ კვარტალში კრწანისის გამგეობას ფონიჭალის საუბნო სამსახურის მიმდინარე შეკეთების სამუშაოების დასაფინანსებლად.

მომხრე -8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი საქალაქო სამსახური, რაიონის გამგეობები და ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი ითხოვს კვარტალურ და მუხლობრივ ცვლილებას მათთვის მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამაში,ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას.**

მოისმინეს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს “თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელებასთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი - ვასილ აბულაძე.

მომხსენებლის განმარტებით, საქართველოს მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცხადებული სატრანსპორტო პოლიტიკის შესაბამისად მიმდინარეობს მუნიციპალური

ტრანსპორტის (მათ შორის მუნიციპალური M3 კატეგორიის ავტობუსების) განახლების პროცესი. აღნიშნული მიმართულებით 2019 წელს უკვე განხორციელდა 90 ერთეული 10-მეტრიანი და 220 ერთეული 8-მეტრიანი ავტობუსების შეძენა და მათი მეშვეობით შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ კუთვნილი ტექნიკურად მოძველებული ავტობუსების პარკის ნაწილობრივი განახლება. აღსანიშნავია, რომ თბილისის მოსახლეობისა და ჩამოსული სტუმრების მუნიციპალური ტრანსპორტით კომფორტული და შეუფერხებელი მომსახურების მიზნით დღემდე განხორციელებული ღონისძიებები არ არის საკმარისი და დარჩენილი ტექნიკურად მოძველებული (ე.წ. ყვითელი) ავტობუსების სრულად ჩასანაცვლებლად აუცილებელია დამატებითი რაოდენობით ახალი ავტობუსების შესყიდვა.

ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დაკვეთით ფრანგული კომპანია SYSTRA-ს მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით ქ. თბილისის საავტობუსე პარკის სრულად ჩანაცვლებისა და მომსახურების ხარისხის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მიზნით აუცილებელია დამატებით 200 ერთეული 12-მეტრიანი და 178 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსების შესყიდვა. გარდა უშუალოდ ავტობუსების განახლების პროცესისა, ასევე აუცილებელია განხორციელდეს ავტობაზების განახლება/რეაბილიტაცია/მშენებლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ახალი ავტობუსების პარკის სათანადო მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია. ამ მიზნების მისაღწევად და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქართველოს ფინასთა სამინისტროს მხარდაჭერით წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) გამოუყო თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას 80 მლნ ევროს ოდენობის სესხი, რომლიდანაც 65 მლნ ევროს ტრანში გათვალისწინებულია ახალი ავტობუსების შესაძენად, ხოლო 15 მლნ ევროს ოდენობის ტრანშით უნდა განხორციელდეს არსებული ავტობაზების რეაბილიტაცია და ერთი ახალი ავტობაზის მშენებლობა.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს“ (ს/კ 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ N0-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/კ 439402843) გათავისუფლების თაობაზე.

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი

მომხსენებლის განმარტებით, შპს „სითიბოქსმა“, რომელიც არის შპს „კონსულტანგ გრუპის“ უფლებამონაცვლე , იკისრა იჯარის ხელშეკრულებით ქალაქის 30 ლოკაციაზე, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი რეტერატების განთავსება. დიდი ტურისტული ნაკადისა და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანია ამატებს კიდევ დამატებით 6 ლოკაციას. გარდა ამისა ერთერთ ლოკაციაზე, კერძოდ 9 აპრილის ბაღში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა რეტერატის განთავსება, რისთვისაც კომპანიას ეკისრება პირგასამტეხლო. კომპანია ითხოვს ლოკაციის შეცვლას რიყის ტერიტორიით და პირგასამტხელლოსაგან განთავისუფლებას.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 6 ივნისის პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-313-22-19802

ხელშეკრულებით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან როინი მკალავიშვილის (პ/ნ 01001028428) გათავისუფლების თაობაზე.

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი

თამარ მელიქიშვილის განმარტებით, როინ მკალავიშვილმა 2016 წელს აუქციონზე შეიძინა 250 კვმ მიწის ნაკვეთი გარკვეული ვალდებულებებით. კერძოდ მას უნდა აეშენებინა და ექსპლუატაციაში მიეღო შენობა-ნაგებობა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის ვადაში, ამავე დროს შენობის პირველ სართულზე უნდა განეთავსებინა სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც იქნებოდა შშმ პირთა მისასვლელი, ადაპტირებული სველი წერტილები და ა.შ. მოქალაქემ შეასრულა ვალდებულებები, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა. მხოლოდ, გარკვეული მიზეზების გამო, 2 წლის ვადაში ვერ მოხერდა შენობის ექსპლუატაციაში მიღება, რის გამოც მას დაეკისრა პირგასამტეხლო 7108, 55 ლარი. უნდა აღინიშნოს რომ შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაში მოღებული იქნა 2019 წლის 23 აპრილს. როინ მკალავიშვილი ითხოვს პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებას.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 91,642 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.13.004.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი

ააიპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის“ პრეზიდენტმა 12.12.19წ. წერილით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა N01.19.13.004.030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ტერიტორიიდან 170,697 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის სიმბოლურ ფასად ფედერაციისთვის საკუთრებაში გადაცემა, მულტიფუნქციური საწვრთნელ-გასართობი და სპორტული კომპლექსის მოსაწყობად. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ სპორტული კომპლექსი ვარჯიშის და მეცადინეობის შესაძლებლობას მისცემს ნებისმიერ მსურველს. კომპლექსის ბაზაზე მოხდება ავტომობილების მართვის პედაგოგ-ინსტრუქტორთა მომზადება-გადამზადება, მოეწყობა სარბოლო მონაკვეთები. კომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის საგზაო მოძრაობის საწყისი ცოდნის და უნარ-ჩვევების შეძენა. გარდა ამისა, კომპლექსში გათვალისწინებული იქნება სპეციალური საწვრთნელი პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

მიწის ნაკვეთის ნაწილზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა, ნაწილზე მოქმედებს სატყეო ზონა. დამატებით ასევე ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიების არეალით წარმოდგენილი სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

განკარგულების პროექტით განიხილება N01.19.13.004.030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ტერიტორიიდან ცალკე საკადასტრო ერთეულად გამოყოფილი და 91,642 კვ.მ. ფართობით დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.13.004.036) ფედერაციისთვის საპრივატიზებო პირობებით საკუთრებაში გადაცემა, სიმბოლურ ფასად 1 ლარად.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, მახათას შესახვევი N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.01.030.007.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი

მოქალაქე გელა ბარამიშვილის,სიმბოლურ ფასად 1 ლარად პრივატიზებით, საკუთრბაში გადაეცემა მახათას შესახვევი N8-ში მდებარე 30 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2005 წლიდან. წარმოდგენილია ისნის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა და შსს წერილი.

მომხრე-8
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.
მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.044.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი
მოქალაქეებს: ლია გვარაძეს და ნატალია პართენაშვილს თანასაკუთრებაში გადაეცემათ სიმბოლურ ფასად1 ლარად, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, N5-ში 73,26 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქეები აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 17 წელი.

მომხრე-8
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.
მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, II მიკრო/რაიონის კორპუსში N9 (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.005.01.514) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი
ნინო ჭანკოტაძეს პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად გადაეცემა ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, II მიკრო/რაიონის კორპუსში N9 მდებარე 153,55 კვმ საცხვორებელი ფართი.მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს და სარგებლობს 7 წელი.

მომხრე-8
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.
მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ანტონ ფურცელაძის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.04.019.004.01.591) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი
მოქალაქე ნანული ნარიმანიძეს სიმბოლურ ფასად 1 ლარად საკუთრებაში გადაეცემა ანტონ ფურცელაძის ქუჩა N14-ში მდებარე 51,38 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალქე აღნიშნული ფართით სარგებლობს და ცხოვრობს 2002 წლიდან. წარმოდგენილია მთაწმინიდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა და რაიონის შსს გასაუბრების ოქმები.

მომხრე-8
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.
მოისმინეს: შპს „ბოჟიტორისთვის" (ს/ნ 405000369) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი - გიორგი ებანოიძე

გიორგი ებანოიძის განმარტებით, თბილისის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველ კომისიას, 2019 წლის 8 ივლისს განცხადებით მიმართა შპს „ბოჟიტორმა“ და მოითხოვა ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ.N37ა (ს/კ N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება. საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით კომპანიამ კომისიის მოთხოვნით წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია და გაირკვა, რომ კომპანიაზე სამშენებლო ნებართვა გაცემულია 1998 წლის 31 დეკემბერს. ამჟამად შპს „ბოჟიტორი“ ითხოვს ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ.N37ა (ს/კ N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებას და ქ. თბილისი, წურწუმიას და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე, ერთმანეთის მომიჯნავედ არსებული 5 ერთეული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდები: N01.17.01.050.028 (თანასაკუთრება), N01.17.01.050.025 (თანასაკუთრება), N01.17.01.050.039, N01.17.01.050.040, N01.17.01.050.041) გადაცემას და სამშენებლოდ განვითარებას. კერძოდ: მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. N37ა (ს/კ N01.10.13.023.001) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებით - არაუმეტეს კ-2 - 12,8-ისა, სიმაღლის განსაზღვრის სქემის დაუცველად. ქ. თბილისი, წურწუმიას და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე, ერთმანეთის მომიჯნავედ არსებული 5 ერთეული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.17.01.050.028 (თანასაკუთრება), N01.17.01.050.025 (თანასაკუთრება), N01.17.01.050.039, N01.17.01.050.040, N01.17.01.050.041) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების , განაშენიანების რეგულირების გეგმის, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას, მრავალფუნქციური შენობის ესკიზის შეთანხმების შესახებ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილების (N4670272) შესაბამისად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის - არაუმეტეს (კ-2) 2.5-ის ფარგლებში.

გიორგი ებანოიძის თქმით განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები შესაძლებელია შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ 2019 წლის 10 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს ,,ბოჟიტორს“ (ს/კ 405000369) შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მეორე მუხლის 2.1.1 პუნქტის შესაბამისად, შპს ,,ბოჟიტორის“ მიერ დაზარალებულ პირთა იდენტიფიცირებისას გამოვლინდება, რომ შემცირებულია დაზარალებულ პირთა ოდენობა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (N10/01191892097-01, 08.07.2019; N10/01191911340-01, 10.07.2019; N10/01192003169-01, 19.07.2019; N10/01192281072-01, 16.08.2019; N10/01192693202-01, 26.09.2019; N19/01193332506-01, 29.11.2019) დადასტურებულ დაზარალებულ პირთა ოდენობასთან შედარებით.
საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრების: ოთარ გრიგოლიას, ვახტანგ შაქარიშვილის, დავით უთმელიძის,ლევან არველაძის შეკითხვებზე კონკრეტული პასუხები გასცა გიორგი ებანოიძემ. მან აღნიშნა, რომ იდენტიფიცირებულია 427 დაზარალებული პირი. კომპანია, სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და კომპანიას შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად ვალდებულია წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია 300 000 ლარი.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-7 ვახტანგ შაქარიშვილმა თავი შეიკავა.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: შუქრი კაკაურიძისათვის (პ/ნ 01019009108) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი - გიორგი ებანოიძე

მომხსენებლის განმარტებით, შუქრი კაკაურიძემ განცხადებით თბილისის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველ კომისიას 2019 წლის 11 ივლისს და მოითხოვა - ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N33/პავლე ასლანიდის ქ. N40 (ყოფილი ქუჩა აკური , N 33 , ქუჩა ალმასიანი N40, N42, N44, N46. (ნაკვეთი N35/31) (საკადასტრო კოდი: N01.10.13.035.053) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის და მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ (ს/კ N01.14.01.007.350) მდებარე მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე. კომისიამ საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით მოითხოვა დამატებითი საბუთები, რაც მათ წარედგინათ 2020 წლის 4 თებერვლის სხდომაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მისამართზე მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2009 წლის 4 სექტემბერს. ჰყავთ დაზარალებულები და აქვთ გარკვეული ვალდებულებები, რომელთა მოსაგვარებლად დაინტერესებული პირი ითხოვს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებას: **მისამართზე:ქალაქ თბილისში ნუცუბიძის ფერდობი II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი #7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთს შეეცვალოს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ით, ასევე შეთანხმდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა, არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით - კ-2 – 5.5.**

გიორგი ებანოიძის თქმით სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და ი.მ.ა"აკურის #27,29,33 ალმასიანის #34,40,42,46" შორის 2020 წლის 10 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სააგენტო საპრივატიზებო პირობით საკუთრებაში გადასცემს ი.მ.ა"აკურის #27,29,33 ალმასიანის #34,40,42,46"-ს მისამართზე:ქალაქ თბილისში ნუცუბიძის ფერდობი II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი #7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთს. ასევე აღინიშნა, რომ ფართის სახით გასაცემი ვალდებულებაა 12530 კვმ, ხოლო ზარალის სახით გასაცემი ფულადი დავალიანება შეადგენს 1 430 000 აშშ დოლარს.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია